ხაშურის მოამბე

№23 (154) 11 ივნისი, ორშაბათი, 2018 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

6 ივნისს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კალენდარული სესია. დღის წესრიგში გატანილი საკითხების განხილვამდე, საკრებულომ მოუსმინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს ხელმძღვანელ პირებს, რომლებმაც ისაუბრეს იმ რეგულაციებზე, რომელიც, მიმდინარე წელს, მოსახლეობის შეშით მომარაგების საქმეს ეხება.

პირველ საკითხად, სესიამ განიხილა და დაამტკიცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და პარკირების წესი. ასევე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების- ძაღლის, კატის მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობის და მოვლა-პატრონობის წესები.

სესიაზე, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შევიდა რამდენიმე დადგენილებაში, რომლებიც საკრებულოს წინა წელს ჰქონდა მიღებული. კერძოდ, ცვლილება შეეხო დადგენილებას მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესს და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმას. აგრეთვე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი დახმარების პროგრამას და მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელ პროგრამას.

სესიაზე, საკრებულოს წევრებმა, თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერს ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე.

ამავე სესიაზე დამტკიცა საკრებულოს 2018 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს ოძისის საჯარო სკოლის პედაგოგებს და მოსახლეობის თხოვნას, რომ ოძისის სკოლა იწოდებოდეს ცოცხნარის საჯარო სკოლად და მიენიჭოს ვაჟა-ფშაველას სახელი.

სესიის დასასრულს, საკრებულოს წევრებმა, მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის მიერ 2018 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში და მიიღეს ცნობად.

ჯორჯაძის ქუჩაზე, საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურში, ჯორჯაძის ქუჩაზე მოწყობილ სააღმზრდელო დაწესებულებაში იმყოფებოდა, სადაც აქტიური მზადება მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისთვის. შენობაში უკვე შეტანილია სათამაშოები, ჭურჭელი, ელექტრო ტექნიკა, ამჯერად კი საბავშვო ბაღი საჭირო ავეჯით და ინვენტარით აღიჭურვა.

„ჯორჯაძის ქუჩაზე, სკოლის ფართობში, საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის მერიამ, ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელა. პროექტი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ჯამში 100 000 ლარი შეადგინა. „თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ სააღმზრდელო დაწესებულებაში პატარებისთვის საუკეთესო პირობები შეიქმნება“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „საბავშვო ბაღების პროგრამა“, რომელიც ბოლო წლებია ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ერთ-ერთი წარმატებული პროექტია. წელს, პრაქტიკულად, სრულდება ეს პროექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღი ევროსტანდარტების დონეზე იქნება.

რიკოთის უღელტეხილზე ავტობანის მშენებლობა იწყება

ინფრასტრუქტურის სამინისტრო რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტზე მუშაობს.

უკვე ცნობილია, რომ ხევი-უბისას 12.2 კმ-იანი მონაკვეთის (II სექცია) მშენებლობას აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს, ხოლო ჩუმათელეთი-ხევისა და უბისა-შორაპანის მშენებლობის დაფინანსება ევროპის საინვესტიციო ბანკმა საკუთარ თავზე აიღო.

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას გზის მონაკვეთზე, პროექტის ფარგლებში, იგეგმება 4-ზოლიანი მაგისტრალის მოწყობა, თითოეულის სიგანე კი 3,75 მეტრი იქნება. ასევე, მოეწყობა 2,5 მეტრი სიგანის 2 გვერდულა/საავარიო ზოლი.

პროექტის მიხედვით, ამ მონაკვეთზე დაგეგმილია 18 გვირაბისა და 35 ხიდის მოწყობა, საიდანაც 18 ხიდი – თბილისი-არგვეთას მიმართულებით, ხოლო, 17 – არგვეთა-თბილისის მიმართულებით მოეწყობა.

12-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელიც მთლიანად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის, დაგეგმილია სამი კვანძის მოწყობა. პირველი კვანძი ხუნევსა და ვერტყვიჭალას შორის მოეწყობა, მეორე კვანძი – საქასრიაში, ხოლო მესამე კვანძი – ბორითში.

ხევი-არგვეთას მონაკვეთის სიგრძე 42 კილომეტრია და ის ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთია. რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მოდერნიზება უმნიშვნელოვანესია საგზაო ქსელის განვითარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. ამ მონაკვეთის მშენებლობა ხელს შეუწყობს ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობის გაზრდას, ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას, სატრანზიტო ტვირთბრუნვის გაზრდას და მგზავრობის დროის შემცირებაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება № 61

2018 წლის 5 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების - ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების - ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. დამტკიცდეს ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 3. დამტკიცდეს უფლებამოსილი ორგანოსათვის წარსადგენი მონაცემები (ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების შესახებ) დანართი №3-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 4. დამტკიცდეს ცხოველების იდენტიფიკაციის რეესტრის ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 5. დამტკიცდეს ცხოველის დროებითი რეგისტრაციის მოწმობის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ„ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 ივლისის №45 დადგენილება (www.matsne.gov.ge 16/07/2013, 010250020.35.143.016180) .

მუხლი 7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება № 59

2018 წლის 5 ივნისი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის);

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 აპრილის №37 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ (www.matsne.gov.ge) 02/05/2013; 010250020.35.143.016172);

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება № 60

2018 წლის 5 ივნისი

ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის);

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 26 ოქტომბრის №41 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ (წწწ.მატსნე.გოვ.გე 02/11/2012; 010250020.35.143.016121);

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

მოცემული წესი განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის – ხაშურის მუნიციპალური სასაფლაოების (შემდგომში – მუნიციპალური სასაფლაო) მოწყობისა და მართვის, მოვლა-პატრონობის, სარიტუალო მომსახურების, სასაფლაოების დახურვის, გაუქმების ლიკვიდაციისაა და ახალი სასაფლაოების გახსნის ზოგად წესებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასაფლაო – ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე ან ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებს გარეთ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელსაც საკრებულოს განკარგულებით მინიჭებული აქვს სასაფლაოს სტატუსი და რომელიც განკუთვნილია და გამოიყენება ადამიანის ნეშტის დასაკრძალავად და რომელიც იმართება კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კერძო სამართლის არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მეშვეობით;

ა.ა) ზონა არის სასაფლაოს ნაწილი, რომელიც დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით და რომელიც განკუთვნილია და გამოიყენება ადამიანის ნეშტის დასაკრძალად. ზონა შესაძლებელია შედგებოდეს სექტორებისგან;

ა.ბ) სექტორი არის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მიწის ნაკვეთი, რომელშიც მოქცეულია საფლავების ერთი ან რამდენიმე რიგი.

გ) კერძო სასაფლაო – ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება ადამიანის ნეშტის დასაკრძალავად;

დ) საფლავი არის სასაფლაოზე შემოსაზღვრული ან/და სხვაგვარად გამოკვეთილი მიწის ნაკვეთი,

რომელზედაც განლაგებულია ერთი ან რამდენიმე სამარე;

ე) სამარე – არის მიწის ნაკვეთი სასაფლაოზე, რომელიც გამოიყენება ან განკუთვნილია ერთი ადამიანის ნეშტის დასაკრძალავად;

ვ) საგვარეულო (საოჯახო) საფლავი – არის საფლავი, რომელიც გამოიყენება ოჯახის წევრების ან ნებისმიერი იმ ადამიანების ნეშტის დასაკრძალავად, ვისი დაკრძალვაზედაც განაცხადებენ თანხმობას საფლავის მფლობელი ოჯახის წევრები;

ზ) საძმო საფლავი არის საფლავი, რომელშიც დაკრძალულია საომარი მოქმედებების, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის ან რაიმე ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად დაღუპული რამდენიმე

გარდაცვლილის ნეშტი, საფლავებისათვის დადგენილი ნორმების დაცვის გარეშე;

თ) სარიტუალო საქმიანობა – არის ყველა სახის მომსახურება, დაკავშირებული ადამიანის ნეშტის დაკრძალვასთან, დაკრძალვამდე ცხედრის გაპატიოსნებასთან და გარდაცვლილის ხსოვნის უკვდავსაყოფად სარიტუალო, საწარმოო, სანიტარიულ მომსახურებასთან;

ი) ჭირისუფალი – არის გარდაცვლილის ახლო ნათესავი, ან მის სიცოცხლეში ანდერძით ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტით დასახელებული პიროვნება, რომელიც უფლებამოსილია დაკრძალვის ცერემონიის განხორციელებაზე და იხდის მომსახურების ხარჯებს;

კ) ოჯახის წევრები – ამ წესების მიზნებისათვის ოჯახის წევრები არიან საქართველოს კანონის „სამოქალაქო კოდექსით“ დადგენილი პირველი რიგის მემკვიდრეები;

ლ) ახლო ნათესავი – ამ წესების მიზნებისათვის ახლო ნათესავები არიან საქართველოს კანონის „სამოქალაქო კოდექსით“ დადგენილი მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე რიგის მემკვიდრეები;

მ) უპატრონო მიცვალებული – მიცვალებული, რომელსაც არ ჰყავს ჭირისუფალი ან რომლის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, რაც დადასტურებულია შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ცნობით;

ნ) სასაფლაოს მმართველი – კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი ან ფიზიკური პირი, რომლებიც ახორციელებენ სასაფლაოს მოვლა-პატრონობას, მმართველობასა და მომსახურებას;

ო) საფლავების მომსახურება – მომსახურება, რომელსაც დასაფლავებასთან დაკავშირებით ახორციელებს:

ო.ა) მუნიციპალური სასაფლაოების შემთხვევაში – თვითმმართველი ერთეულის ხაშურის

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი;

ო.ბ) კერძო სასაფლაოების შემთხვევაში – კერძო სასაფლაოს მესაკუთრე;

პ) ძეგლი (საფლავის ქვა) – არის სასაფლაოზე დამონტაჟებული ქვის, ლითონის ან/და სხვა მასალისაგან დამზადებული გამოსახულება, კონსტრუქცია და ა.შ., რომელიც განკუთვნილია გარდაცვლილის ხსოვნის უკვდავსაყოფად;

ჟ) დაკრძალვა არის გარდაცვლილის ნეშტის მიწას მიბარების ცერემონია, რომელიც ხორციელდება რელიგიური წესების, ადათებისა და წეს-ჩვეულებების შესაბამისად. დაკრძალვა ხორციელდება სანიტარიული ნორმების დაცვით;

რ) ზემოდან დაკრძალვა არის გარდაცვლილის მიწას მიბარების ცერემონია, როდესაც ნეშტი იკრძალება ადრე გარდაცვლილის ნეშტზე ჭირისუფლისა და სასაფლაოს მმართველის შეთანხმებით, ამ უკანასკნელის მიერ გაცემული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნის საფუძველზე, სათანადო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით;

(გაგრძელება III გვერდზე)

(გაგრძელება)

ს) საფლავის მეორადი გაცემა – ადრე არსებული საფლავის წინამდებარე წესით დადგენილი ნორმების შესაბამისად ხელახალი გაცემა;

ტ) მეორეული დაკრძალვა – გარდაცვლილის მიწას მიბარების ცერემონია, როდესაც ნეშტი იკრძალება ადრე არსებულ სასაფლაოზე წინამდებარე წესით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

უ) გადასვენება – არის გარდაცვლილის ნეშტის მიწას მიბარების ცერემონია, როდესაც ხდება გარდაცვლილის ნეშტის ამოსვენება სამარიდან და იმავე სასაფლაოს სხვა სამარეში ან სხვა სასაფლაოზე დაკრძალვა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესი

ფ) სასაფლაოს დახურვა – არის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე შემოღებული სპეციალური რეჟიმი, როდესაც სასაფლაოზე წყდება ახალი საფლავების გამოყოფა;

ქ) სასაფლაოს გაუქმება – არის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე შემოღებული სპეციალური რეჟიმი, როდესაც სასაფლაოზე წყდება როგორც ახალი, ისე მეორეული დაკრძალვა;

ღ) სასაფლაოს ლიკვიდაცია არის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადრე გაუქმებული სასაფლაოს ტერიტორიის სხვაგვარად გამოყენების მიზნით არსებული სასაფლაოს ტერიტორიის ლიკვიდაცია;

ყ) ინფორმაციის გამოცხადება – ამ წესების მიზნებისათვის ინფორმაციის გამოცხადება არის ინფორმაციის გამოკვრა საინფორმაციო დაფაზე, ვებგვერდზე, ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, ადგილობრივი ტელევიზიით გამოცხადება ან/და სხვა სახით გამოცხადება;

შ) საფლავის პასპორტი – მფლობელობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სასაფლაოზე საფლავის არსებობას, მის ზუსტ ადგილმდებარეობას, მფლობელს, საფლავში განთავსებული სამარეების ოდენობასა და დაკრძალული ცხედრების ვინაობას. საფლავის პასპორტის ფორმას ამტკიცებს სასაფლაოს მმართველი. საფლავზე მემკვიდრეობის უფლება რეგულირდება საქართველოს კანონის „სამოქალაქო კოდექსის“1332-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3. ახალი სასაფლაოების გახსნა

1. მშენებლობადამთავრებულ (მოწყობილ) სასაფლაოებს სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით ექსპლუატაციაში იღებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია.

2. ახალი სასაფლაო უნდა განლაგდეს დასახლებული პუნქტის გარეუბანში, სულ ცოტა 300 მეტრის დაშორებით საცხოვრებელი შენობებიდან და დასასვენებელი ადგილებიდან, ხოლო არსებული სასაფლაოს მიმდებარედ სასაფლაოს მოწყობისას, თუ ეს მანძილი უკვე არსებულ სასაფლაოსთან მიმართებაში დარღვეულია, დაშორება განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიის მიერ სასაფლაოს მოწყობის პროექტის შეთანხმებისას.

3. ახალი სასაფლაოების მოწყობის პროექტები, სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, სასაფლაოების ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელება, მოქმედი სასაფლაოების გაფართოება და რეკონსტრუქცია საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან სავალდებულო შეთანხმებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. მუნიციპალური სასაფლაოს ტერიტორიაზე დაკრძალვისთვის გამოყოფილი თავისუფალი მიწის ნაკვეთი შედგება არა უმეტეს 5 ზონისგან. ზონების რიგითობას, ზონის დადგენის და აღნიშნულ ზონებში საფლავების გამოყოფის წესებს და ფასებს სასაფლაოს მმართველის მიერ მომზადებული და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული სასაფლაოს პროექტის საფუძველზე განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შემდეგის გათვალისწინებით:

ა) ზონების რიგითობა განისაზღვრება სამანქანო გზიდან დაშორების ან/და მიწის ნაკვეთის რელიეფის გათვალისწინებით. მე-5 ზონის გამოყოფა სავალდებულოა და აღნიშნულ ზონაში განთავსებული ერთ და ორადგილიანი საფლავების გამოყოფა უფასოა;

ბ) მუნიციპალურ სასაფლაოზე მე-5 ზონაში განლაგებული თავისუფალი საფლავების რაოდენობა უნდა იყოს იმავე სასაფლაოზე თავისუფალი საფლავების რაოდენობის არანაკლებ 40%;

გ) მე-5 ზონის გარეთ არსებულ თავისუფალ მიწის ნაკვეთზე სხვა ზონების რიგითობა დამოკიდებულია არსებულ რელიეფსა და ინფრასტრუქტურაზე, ხოლო საფლავის გამოყოფის ფასი განისაზღვრება სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კერძო სასაფლაოებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფლავის გამოყოფის ფასის მიხედვით;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნულის შემთხვევაში, მუნიციპალურ სასაფლაოზე მე-5 ზონის გარეთ არსებულ ზონებში საფლავის გამოყოფის ფასი არანაკლებ 20%-ით ნაკლები უნდა იყოს კერძო სასაფლაოებზე არსებულ ფასებზე.

5. მუნიციპალური სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არებული მიწის ნაკვეთის საფუძველზე.

6. სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შესახებ გადაწყვეტილებას ხაშურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განკარგულების ფორმით იღებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

7. სასაფლაოს ტერიტორია პერიმეტრზე უნდა იყოს შემოზღუდული და დაგეგმილი ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ზედაპირული წყლების სწრაფი დაკლება.

8. სასაფლაოს შესასვლელში უნდა მოეწყოს საავტომობილო სადგომი.

მუხლი 4. სასაფლაოს მოწყობა და ექსპლუატაცია

1. სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლავების (სამარხების) ქაოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება.

2. სასაფლაოს მოწყობა (დაგეგმარება) უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალიწინებული უნდა იქნეს:

ა) დასაფლავებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფა და მათი გამოყენების რიგითობა;

ბ) გასასვლელებისა და ფეხით სავალი გზების მიმართულება, ზომები და კეთილმოწყობა;

გ) მწვანე ნარგავების განთავსება და ხასიათი;

დ) სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობები და ნაგებობები (საოფისე შენობა, წყალგაყვანილობა, ყვავილების მაღაზია, საზოგადოებრივი ტუალეტი, დაკრძალვის წინ ცხედრის დასასვენებლად (სამოქალაქო პანაშვიდი და ა. შ.) განკუთვნილი სპეციალური შენობა და ა. შ;

ე) სასაფლაოს გამწვანება, სასაფლაოს პერიმეტრის გასწვრივ დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება და დეკორატიული ნარგავების დარგვა. ძირითად ხეივნებსა და დაკრძალვის ადგილებში საკმარისი განიავების უზრუნველყოფით;

ვ) სასაფლაოს შესასვლელებში საავტომობილო სადგომის მოწყობა;

ზ) საფლავებისა და საფლავში და სამარხების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა.

3. სასაფლაოსათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დაგეგმარება წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ან/და სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების შესყიდვით.

4. ერთსამარიანი საფლავისათვის მიწის ფართობის ნორმად მიღებულ იქნეს 4 კვ. მეტრი, ორი და მეტ სამარიანი საფლავისათვის თითოეული სამარის მიწის ფართობის ნორმად მიღებულ იქნეს 3 კვ. მეტრი. სამარის სიღრმე არ უნდა იყოს 1,2 მეტრზე ნაკლები (ადგილობრივი ნიადაგისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით). გარდაცვლილ ჩვილ ბავშვთა ან ადრე გარდაცვლილის ნეშტის დასაფლავებისას სამარე შესაბამისად შეიძლება შემცირდეს. ყოველ სამარეზე უნდა მოეწყოს მისი ბორცვი.

5. გარდაცვლილთა დასაფლავების ადგილამდე გადატანა, როგორც წესი ხორციელდება კუბოთი. უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში – დაკრძალვისათვის დამზადებული კუბოთი ან სპეციალური სუდარით.

6. ნეშტის გადასვენების შემთხვევაში სამარე მაშინვე უნდა ამოივსოს და მიწის ზედაპირს ჩაუტარდეს დაგეგმარება.

7. ცხედრის დაკრძალვა შეიძლება მხოლოდ გარდაცვალების მოწმობის წარმოდგენის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევაში უქმე დღეების გამო ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზით გარდაცვალების მოწმობის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში მიცვალებულის დაკრძალვა შესაძლებელია გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ან ექსპერტიზის აქტის წარმოდგენის საფუძველზე. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ჭირისუფალი ვალდებულია წარმოადგინოს გარდაცვალების მოწმობა 1 კვირის მანძილზე.

8. ჭირისუფალი ვალდებულია სასაფლაოს მმართველს გ ა რ - დაცვალების შესახებ მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ) დაბადების და გარდაცვალების თარიღი;

გ) უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი;

დ) გარდაცვალების მოწმობა ან სხვა დოკუმენტი (ცნობა, ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტი, რომელიც ადასტურებს პირის გარდაცვალების ფაქტს) ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. სასაფლაოს მმართველი ვალდებულია საფლავის გაცემისას დაამზადოს და გასცეს საფლავის პასპორტი.

10. მუნიციპალურ სასაფლაოზე ადრე გაცემულ საფლავებზე საფლავის პასპორტის დამზადება არის ნებაყოფლობითი და საფლავის მფლობელის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემთხვევაში, იგი გაიცემა ჭირისუფლის განცხადების საფუძველზე მმართველის მიერ.

მუხლი 5. სასაფლაოს დახურვა და გაუქმება

1. სასაფლაოზე ახალი და ადრე არსებული საფლავის ადგილების შევსების შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია როგორც ახალი საფლავების გამოყოფა, ისე არსებულ სასაფლაოზე დადგენილი წესით მეორეული დაკრძალვა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულების ფორმით იღებს გადაწყვეტილებას სასაფლაოს გაუქმების (დახურვის) შესახებ.

2. გაუქმებული (დახურული) მუნიციპალური სასაფლაოს ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მისი გაუქმებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. მუნიციპალური სასაფლაოს ლიკვიდაციის თაობაზე, მუნიციპალური სასაფლაოს მმართველის მიმართვის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. ლიკვიდაციისათვის განკუთვნილი მუნიციპალური სასაფლაოს ტერიტორია გამოყენებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი სარგებლობის მწვანე მასივის სახით. ასეთ შემთხვევაში, მუნიციპალური სასაფლაოების ლიკვიდაცია, საინფორმაციო საშუალებებით წინასწარი განცხადების შემდეგ, როგორც წესი, ხორციელდება ნეშტის ნარჩენების ამოღების გარეშე, საფლავის ქვების ამოღების გზით.

4. ცალკეულ შემთხვევაში, ლიკვიდირებულ მუნიციპალური სასაფლაოს ტერიტორიის სხვა მიზნით გამოყენება დაიშვება კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალური სასაფლაოს ლიკვიდაციისას, მიცვალებულთა გვამების გადასვენება ხორციელდება სანიტარიული ნორმების დაცვით.

მუხლი 6. სასაფლაოების მართვა

ხაშურის მუნციპალიტეტის სასაფლაოების მართვას საქართველოს კანონ-

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესი

(გაგრძელება)

მდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუხლი 7. სასაფლაოების მმართველი იურიდიული პირის უფლებამოსილება

1. სასაფლაობის მმართველი იურიდიული პირი ახორციელებს სასაფლაოების მართვასთან, მათ მოვლა-პატრონობასთან, გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებით საჭირო შესაბამის მომსახურებას.

2. სასაფლაოების მმართველი იურიდიული პირი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი მომსახურება:

ა) სასაფლაოებზე საფლავების (სამარეების) დადგენილი წესით გამოყოფა;

ბ) სასაფლაოზე გამოყოფილი სამარის გათხრა და ამოვსება;

გ) გარდაცვლილის სამარეში ჩასვენება;

დ) სამარხზე სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება, საფლავებისა და საფლავში სამარეების აღრიცხვა/ნუმერაცია და სხვა;

ე) სასაფლაოების გასასვლელების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;

ვ) დაინტერესებული პირებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;

ზ) საფლავის პასპორტის გაცემა ახალი საფლავის გაცემისას;

თ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა მომსახურების გაწევა.

3. მუნიციპალური სასაფლაოს მმართველის მიერ გაწეული მომსახურების საფასური, ასევე მისი გადახდისაგან გათავისუფლებისა და შეღავათების გაწევის წესი და შემთხვევები განისაზღვრება ამ წესით და იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4. მუნიციპალური სასაფლაოს მმართველის მიერ გაწეული მომსახურება, რომლის საფასურის დადგენაც წინასწარ შეუძლებელია და გამომდინარეობს ჭირისუფლის (დაინტერესებული პირის) მოთხოვნებიდან ან/და აუცილებლობიდან, განისაზღვრება მუნიციპალური სასაფლაოს მმართველსა და ჭირისუფალს (დაინტერესებულ პირს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

5. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის შემთხვევაში მუნიციპალური სასაფლაოს მმართველს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით, უფლება აქვს მოახდინოს ერთადგილიანი საფლავის გაცემა უფასოდ.

6. მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირი ვალდებულია გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევისას დაიცვას სანიტარიული ნორმები, რელიგიური წეს-ჩვეულებები და ქვეყანაში არსებული კულტურული ტრადიციები, ასევე იგი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს გარდაცვლილის ჭირისუფლის სურვილები.

7. სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირი გარდაცვლილის შესახებ უნდა ფლობდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ) უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი;

გ) დაბადების და გარდაცვალების თარიღი;

დ) იმ ახლობლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და მისამართი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება დასაფლავების შესახებ და რომელმაც მიმართა შესაბამის იურიდიულ პირს.

8. სასაფლაოს მმართველი იურიდიულ პირს უფლება აქვს, დადგენილი წესით:

ა) საფლავის მოვლა-პატრონობაზე დაინტერესებულ პირთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს ნებისმიერი შენატანი, ანაზღაურება, ქონება, ფასიანი ქაღალდები ან ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რათა რაიმე განსაკუთრებული სახით მოაწყოს საფლავი, ძეგლი და სხვ;

ბ) შეიძინოს ახალი ქონება, ააშენოს ახალი შენობა-ნაგებობები, რათა გაზარდოს სასაფლაოს მოვლის ეფექტურობა;

გ) მოაწესრიგოს სასაფლაოს ტერიტორიაზე შემოფარგვლის, ძეგლების, სასაფლაოს ქვების გამოსახულების, საფლავის შემოფარგვლის, მოპირკეთებითი სამუშაოების, გარდაცვლილის ხსოვნისადმი საჭირო სხვა ობიექტების დადგმა-დამონტაჟების საკითხები ან აკრძალოს ისინი;

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს სასაფლაოს ეფექტური მართვისათვის საჭირო მომსახურების ახალი სახეებისა და მათი საფასურის ოდენობის შესახებ წინადადებები.

9. მმართველს უფლება აქვს სასაფლაოს ტერიტორიაზე წინასწარ დაადგინოს ძეგლების, სასაფლაოების ქვების, გამოსახულების და ა.შ. ზომები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს დაავალდებულოს მათი მისგან შეძენა, ან მასთან დამზადება.

10. მუნიციპალური სასაფლაოზე საფლავის კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მუნიციპალური სასაფლაოს მმართველის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

11. მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის მართვაში შეიძლება იყოს როგორც ახალი სასაფლაოს ტერიტორია, ისე უკვე არსებული სასაფლაო (სასაფლაოები), რის შესახებაც გადაწყვეტილებას სადამფუძნებლო დოკუმენტის ან/და ცალკეული განკარგულების სახით იღებს თვითმმართველი ერთეულის – ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

12. სასაფლაოს მმართველის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება სასაფლაოს მესაკუთრისა და მმართველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მუნიციპალური სასაფლაოების მართვას ახორციელებს მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი.

მუხლი 8. სასაფლაოების მოვლა პატრონობა

1. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა მოიცავს:

ა) ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭვას და მორთვას;

ბ) წყალარინების სისტემის, წყლის ქსელების, გზების, შენობების და სასაფლაოს სხვა სტრუქტურების წესრიგში მოყვანას;

გ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენასა და მომსახურებას;

დ) მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას და სხვა თანხების გადახდას;

ე) მიცვალებულის ნეშტის დასაფლავებისა და გადაადგილებისათვის საჭირო მომსახურებას;

ვ) სასაფლაოს ტერიტორიის (გასასვლელები, ბილიკები, საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა ადგილები) მორწყვას, რეგულარულ დაგვა-დასუფთავებას, მწვანე ნარგავების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

2. სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირი საფლავის მოვლა-პატრონობას ახორციელებს საფლავის მეპატრონესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სასაფლაოს ტერიტორიის საზოგადოებრივი ადგილების მოვლა-პატრონობას მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირი ახორციელებს საკუთარი ხარჯებით.

3. მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი საკუთარი ხარჯებით საფლავის მოვლა-პატრონობას ახორციელებს მხოლოდ საფლავის მეორადი გაცემის მიზნით.

მუხლი 9. საფლავი

1. საფლავი შეიძლება იყოს:

ა) სტანდარტული საფლავი;

ბ) საოჯახო (საგვარეულო) სამარხი;

გ) საძმო საფლავი.

2. სტანდარტული საფლავებია:

ა) ერთადგილიანი – 4 კვ.მ;

ბ) ორადგილიანი – 6 კვ.მ;

გ) სამადგილიანი – 9 კვ.მ.;

დ) ოთხადგილიანი – 12 კვ.მ.

3. საფლავში, როგორც წესი, შეიძლება იყოს არა უმეტეს რვა სამარე და სტანდარტულ საფლავზე მეტი ზომის საფლავი შეიძლება გაიცეს, მაგრამ არა უმეტეს 24 კვადრატული მეტრისა. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მმართველის გადაწყვეტილებისა და სანიტარიული დასკვნის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობით ან/და დამტკიცებული სასაფლაო ტერიტორიის დაგეგმარების პროექტით.

4. მუნიციპალურ სასაფლაოზე გაცემულ საფლავზე, როგორც წესი, ხდება ოჯახის წევრების ან/და მათი თანხმობით ახლო ნათესავის დასაფლავება.

5. თუ საფლავში არის მხოლოდ ერთი თავისუფალი სამარე, მაშინ ის უპირობოდ ეკუთვნის გარდაცვლილის მეუღლეს, თუ მეუღლეები არ არიან გაცილებული ან გარდაცვლილის მიერ ანდერძით სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

6. ცხედრის კონკრეტულ სასაფლაოზე დაკრძალვასა ან გადასვენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (თუ სხვა რაიმე წერილობითი განკარგულება, ანდერძი არ არსებობს) შეუძლია მიიღონ:

ა) გარდაცვლილის სიცოცხლეში სათანადო ხელშეკრულებით დანიშნულმა მისი დაკრძალვის ცერემონიის განმახორციელებელმა პირმა;

ბ) გარდაცვლილის მეუღლემ;

გ) გარდაცვლილის სრულწლოვანმა შვილმა (შვილებმა);

დ) გარდაცვლილის მშობლებმა;

ე) გარდაცვლილის ოჯახის სხვა სრულწლოვანმა წევრებმა;

ვ) გარდაცვლილის ახლო ნათესავმა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში ჩამოთვლილ პირებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში, კონკრეტულ სასაფლაოზე დაკრძალვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღება მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის მიერ. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის მიერ შეიძლება გამოიყოს სასაფლაო ტერიტორიის ცალკე სექტორი (სექტორები).

9. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ პირთან, მისი თანხმობის შემთხვევაში, მმართველმა შეიძლება დადოს ხელშეკრულება საფლავის მოვლა-პატრონობასა და მომსახურებაზე. მმართველი ვალდებულია წინასწარ წარუდგინოს გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და ფასები.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცემული საფლავი მოუვლელია, პრაქტიკულად დაკარგული აქვს საფლავის იერსახე და ბოლო დაკრძალვიდან გასულია ოცი წელი, სათანადო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით, ასეთი ფართობი შეიძლება გაცემულ იქნეს, როგორც ახალი ადგილი, არსებული წესის შესაბამისად.

11. მმართველის მიერ დანიშნული მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პერიოდულად უნდა ჩატარდეს სასაფლაოებზე ბოლო დაკრძალვიდან ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიტოვებული, მოუვლელი საფლავების ინვენტარიზაცია მიწის ამ ფართობზე მეორეული დაკრძალვისათვის. აღნიშნული ინვენტარიზაციისას დადგენილ მოუვლელ საფლავებზე უნდა დაიდგას საინფორმაციო ფირფიტა სათანადო აღნიშვნით, მისი დადგმიდან ორი წლის შემდეგ ჭირისუფლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გადაიცეს მეორეული გამოყენებისათვის.

12. სამარის გათხრის უფლება აქვს ჭირისუფალს ან ჭირისუფლის სურვილის შემთხვევაში – სასაფლაოს მმართველ იურიდიულ პირს ამ დებულებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდის საფუძველზე. ამ დებულებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდა არ ვრცელდება საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართ

(დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

ლის საპროცესო კოდექსი“ შესაბამისად, ექსჰუმაციის (გვამის საფლავიდან ამოღება) შემთხვევაში.

13. გარდაცვლილთა სხვა სამარეში გადასვენება შესაძლებელია მხოლოდ ჭირისუფლისა და სასაფლაოს მმართველის შეთანხმებით, შესაბამისი უწყების მიერ გაცემული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნის საფუძველზე, სათანადო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით.

14. ჭირისუფლის მიერ საფლავის სასაფლაოს მმართველისათვის ჩაბარების შემთხვევაში, მისი მეორადი გაცემა დაიშვება ჩაბარებიდან არანაკლებ ერთი თვის გასვლის შემდეგ.

15. ჭირისუფლის მხრიდან უკვე გაცემულ საფლავზე ფართის მიმატების მოთხოვნისას, სასაფლაოს მმართველს უფლება აქვს გასცეს თანხმობა, თუ:

ა) მოთხოვნის დაკმაყოფილებისას საფლავის მთლიანი ფართი არ აღემატება ამ წესებით განსაზღვრულ მაქსიმალურ ფართს;

ბ) დაცულია საფლავებს შორის დაცილების ამ წესებით განსაზღვრული ნორმები.

16. საფლავის წინასწარი გაცემა დასაშვებია მხოლოდ საოჯახო (საგვარეულო) საფლავის დანიშნულებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესი

მუხლი 10. გარდაცვლილის სასაფლაოზე დაკრძალვის წესი და საფასური

1. ყოველი გარდაცვლილის დაკრძალვა უნდა მოხდეს ცალკე სამარეში. ყოველ საფლავზე გამოყოფილი უნდა იქნეს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ფართობის ტერიტორია და სამარე.

2. მომსახურების საფასური განისაზღვროს:

ა) ერთადგილიანი – 40 ლარი;

ბ) ორადგილიანი – 60 ლარი;

გ) სამადგილიანი – 90 ლარი;

დ) ოთხადგილიანი – 120 ლარი.

3. ზღვრული ნორმის ზევით გამოსაყოფ ყოველ 1 კვადრატულ მეტრზე დამატებითი მომსახურების საფასური განისაზღროს 20 ლარით.

4. მარტოხელა და უპატრონო მიცვალებულების დასაკრძალავად მიწის ფართობის ნორმად მიღებულ იქნეს 4 კვ.მ და მომსახურება განხორციელდეს უსასყიდლოდ. მიცვალებულის ნეშტის დასაკრძალავად გაცემული მიწის ფართობის სხვა პირზე გაცემა ან გაყიდვა არ დაიშვება.

5. ომის ვეტერანებსა და მასთან გათანაბრებულ პირებს დამატებითი მომსახურების საფასურზე დაუწესდეს შეღავათი 50 %-იანი ფასდაკლებით.

6. სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომელთა ქულა 100 ათასი და ნაკლებია, და დევნილთა მიცვალებულის ნეშტის დასაკრძალავად ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაფლაოზე ზღვრული ნორმების დაცვით, მიწის გაცემა მოხდეს უსასყიდლოდ.

7. საფლავებს შორის დაშორება არ უნდა იყოს გრძელ მხარებს შორის 0,8 მეტრზე ნაკლები, ხოლო მოკლე მხარეებს შორის – 0,5 მეტრზე ნაკლები. დამატებითი მომსახურების საფასურის გადახდა ხდება სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირისადმი დადგენილი წესით წარდგენის შემდეგ.

8. სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირისადმი ჭირისუფლის მიერ მიმართვის შემთხვევაში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ წესით დადგენილი საფასურის გადახდის საფუძველზე, მუნიციპალურ სასაფლაოზე გაიცემა ორსამარიანი საფლავის ან საფლავის გვერდიგვერდ არსებული ორი სამარის ადგილი მიცვალებულისა და მისი მეუღლის დასაკრძალავად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მიცვალებულის მეუღლე გარდაცვლილია ან მიცვალებული არ იმყოფებოდა ქორწინებაში ან დაინტერესებულმა პირმა გადაიხადა მხოლოდ 1 სამარის საფასური, მაშინ მიცვალებულზე გამოიყოფა 1სამარიანი საფლავის ადგილი ან საფლავის 1 სამარე.

9. თუკი ჭირისუფალს დასაკრძალი ჰყავს რამდენიმე მიცვალებული, რომლებიც ერთი ოჯახის წევრები არიან, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამ წესით დადგენილი საფასურის გადახდის საფუძველზე, იმდენი ადგილი გაიცემა, რამდენიც მიცვალებულია. ასეთ შემთხვევაში, თუკი არის შესაძლებლობა, საფლავის ადგილები გაიცემა გვერდიგვერდ.

10. დაინტერესებული პირის მიერ სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირისადმი შესაბამისი მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში, თუკი მას სურს წინასწარ რამდენიმე სამარის გამოყოფა იმ მიზნით, რომ იქონიოს საგვარეულო (საოჯახო) საფლავი ან/და ჭირისუფალს, რომელსაც უკვე გამოეყო მიცვალებულის დასაკრძალავად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ამ წესით დადგენილი საფასურის გადახდის საფუძველზე, კუთვნილი სამარე, მაგრამ საგვარეულო (საოჯახო) საფლავის მოწყობისათვის ითხოვს დამატებით სამარეებს, მაშინ დამატებითი სამარის გაცემა ფასიანია და იგი გაიცემა დადგენილი შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე. საფასურის გადახდა ხდება სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. საფლავის გამოყოფა ხორციელდება შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრისა და ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირისადმი დადგენილი წესით წარდგენის შემდეგ.

11. საფლავის (სამარის) გამოყოფისა და სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის მიერ გაწეული სასაფლაო მომსახურების სახეობები და საფასური ან/და მომსახურების საფასურიდან გათავისუფლების და შეღავათის გაწევის შემთხვევები განისაზღვრება ამ წესით და იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.

12. გარდაცვლილის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიულ პირი გარდაცვლილის ჭირისუფალზე (მათგან დაინტერესებულ პირზე) გასცემს შესაბამის მოწმობას მისი აღრიცხვის რიგითობისა და საფლავის (სამარის) ნომრის მითითებით.

13. მუნიციპალურ სასაფლაოზე საფლავის (სამარის) წინასწარ შესყიდვის (გამოყოფის) შესახებ მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიულ პირი დაინტერესებულ პირზე გასცემს შესაბამის მოწმობას მისი აღრიცხვის რიგითობისა და საფლავის (სამარის) ნომრის მითითებით.

14. მუნიციპალურ სასაფლაოზე საფლავის (სამარის) წინასწარ შესყიდვის (გამოყოფის) შესახებ გაცემული მოწმობით სარგებლობისა და მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირისადმი შესაბამისი მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებული პირის (პირის, რომელზედაც გაცემულია ასეთი მოწმობა) ანდერძისმიერ ან/და კანონისმიერ მემკვიდრეებს მემკვიდრეთა რიგის მიხედვით, საქართველოს კანონის „სამოქალაქო კოდექსის“ შესაბამისად.

15. მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურება, რომლის საფასურის დადგენაც წინასწარ შეუძლებელია და გამომდინარეობს ჭირისუფლის (დაინტერესებული პირის) მოთხოვნებიდან (მაგ.: საფლავის კეთილმოწყობა, საფლავის ქვის (ძეგლის) დამზადება და სხვ.) განისაზღვრება მუნიციპალური სასაფლაოს მმართველ იურიდიულ პირსა და ჭირისუფლის წარმომადგენელს (დაინტერესებულ პირს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალური სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის (ხელმძღვანელის) მიერ მომსახურების საფასური უნდა განისაზღვროს ამ იურიდიული პირის ინტერესებიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 11. საფლავზე მეორეული დაკრძალვის შემთხვევები და წესი

1. იმ შემთხვევაში, როდესაც საფლავი მოუვლელია, პრაქტიკულად დაკარგული აქვს საფლავის იერსახე, დაკრძალვიდან გასულია 40 წელზე მეტი და მიტოვებულია (უპატრონოა), ასეთი ფართობი მეორეული დაკრძალვისათვის შეიძლება გაცემულ იქნეს როგორც ახალი ადგილი, არსებული წესის შესაბამისად.

2. სასაფლაოს მმართველი იურიდიული პირის მიერ პერიოდულად უნდა ჩატარდეს სასაფლაოზე დაკრძალვიდან 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიტოვებული, უპატრონო მოუვლელი საფლავების ინვენტარიზაცია მიწის იმ ფართობზე მეორეული დაკრძალვისათვის. აღნიშნული ინვენტარიზაციის საფუძველზე დადგენილ მოუვლელ, მიტოვებულ, უპატრონო საფლავებზე უნდა დაიდგას საინფორმაციო ფირფიტა სათანადო აღნიშვნით, რომ მისი დადგმიდან სამი წლის განმავლობაში ჭირისუფლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საფლავი გაიცემა მეორეული გამოყენებისათვის. ამ პუნქტით გათვალისწინებულ საინფორმაციო ფირფიტაზე მითითებული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარდაცვლილის ჭირისუფლის წარმომადგენელმა სად, როდის და ვის უნდა მიმართოს გარდაცვლილთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე.

3. ამ მუხლით დადგენილი წესით, მეორეული დაკრძალვისათვის გაცემული საფლავის სამარხის გათხრის დროს აღმოჩენილი გარდაცვლილის ნეშტის ნარჩენები (ძვლები) უნდა განთავსდეს სამარის ცალკე კუთხეში, რისთვისაც ასეთ სამარეში უნდა გაითხაროს (მოეწყოს) ნარჩნების (ძვლების) განსათავსებლად საჭირო სპეციალური თარო. დაუშვებელია ამ მუხლით დადგენილი წესით მეორეული დაკრძალვისათვის გაცემული საფლავის სამარხის გათხრის დროს აღმოჩენილი გარდაცვლილის ნეშტის ნარჩენების (ძვლების) გადაყრა, განადგურება ან/და მის მიმართ სხვა არაჰუმანური უღირსი დამოკიდებულება.

მუხლი 12. მიწის ნაკვეთზე კერძო სასაფლაოს მოწყობის წესი

1. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების საკითხი საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

2. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების თაობაზე დაინტერესებულმა პირმა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა წარუდგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი (იურიდიული პირის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი – დირექტორის (ხელმძღვანელის) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საკუთრებაში არსებულ – მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა;

გ) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა (3 ფორმატზე ფერადი) სათანადო დეტალიზაციითა და სამეზობლო საზღვრების ჩვენებით (გეგმაზე ნაჩვენები უნდა იყოს უახლოესი საცხოვრებელი შენობები და მათი მანძილი საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებიდან;

დ) იურიდიული პირის შემთხვევაში – დამატებით იურიდიული პირის წესდების სათანადო წესით დამოწმებული ასლი და ამონაწერი მეწარმეთ და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ე) ამ წესის მე-3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების თაობაზე გადაწყვეტილებას, განკარგულების ფორმით, იღებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. კერძო სასაფლაოს მფლობელი პირი ვალდებულია მიწის ნაკვეთზე კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან გაფართოებისა და სასაფლაო მეურნეობის წარმოების დროს დაიცვას წინამდებარე წესით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები და მოთხოვნები.

მუხლი 13. მუნიციპალური სასაფლაოების მართვის, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის და შესაბამისი მომსახურების ელექტრონიზაცია ამ წესის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის დროს, მუნიციპალური სასაფლაოების მმართველის მიერ ელექტრონული და მატერიალური ფორმით მიღებულ ან/და გაცემულ დოკუმენტს ან/და ინფორმაციას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

პლასტმასის ნარჩენები - რთული გამოწვევა ჩვენი პლანეტისთვის

5 ივნისს, მსოფლიო აღნიშნავს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს. წელს მსოფლიოს ქვეყნები, გაერთიანდნენ პლასტმასის ნარჩენებისაგან დედამიწის დაბინძურების წინააღმდეგ. ამ მესიჯს შევუერთდით სურამის 1 საჯარო სკოლის „Eco-team-is“ წევრები და უარი ვუთხარით პლასტმასის ერთჯერადი მოხმარების საგნებს, როგორიცაა პლასმასის ბოთლები, ჭიქები, კონტეინერები და თანხმობა ვუთხარით ისეთ მდგრად ალტერნატივას, როგორიცაა მინის ბოთლები, ნაჭრის პარკები და ა.შ. იმისათვის, რომ გაგვერკვია, რამდენად არის საზოგადოება ინფორმირებული პოლიეთილენის მავნებლობის შესახებ, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა: მოვიძიეთ ინტერნეტსა და ბეჭდურ მედიაში არსებული ინფორმაცია პოლიეთილენის მავნებლობის შესახებ. დავამზადეთ ანკეტები და ვაწარმოეთ გამოკითხვა.

გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანები. შედეგი, სამწუხაროდ, სავალალო აღმოჩნდა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცის, თუ რა მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე პოლიეთილენის პარკებისა და პლასტმასის სხვადასხვა ნივთების ნარჩენები. ამიტომ, გადავწყვიტეთ, მოგვეხდინა საზოგადოების ინფორმირება და დავგეგმეთ სხვადასხვა აქტივობა: სკოლაში ჩავატარეთ სემინარი პლასტმასის მავნებლობის შესახებ და ვაჩვენეთ შესაბამისი შინაარსის ფილმები, დავამზადეთ საინფორმაციო ბუკლეტები და დავურიგეთ სურამის მოსახლეობას, ასევე დავარიგეთ ქაღალდისა და ნაჭრის მრავალჯერადი მოხმარების პარკები, მოვაგროვეთ პლასტმასის ბოთლები და წავიღეთ მეორადი გადამუშავების საწარმოში.

ამ საქმეში დახმარებისათვის მივმართეთ ხაშურის მუნიციპალეტიის დასუფთავების სამსახურის უფროს ნუკრი ცხოვრებაშვილს, რომელმაც მყისიერად აღგვითქვა დახმარება და გამოგვიგზავნა მანქანა, რომელმაც შეგროვებული პლასტმასის ბოთლები წაიღო მეორადი გადამუშავების საწარმოში. მადლობას ვუხდით ბატონ ნუკრის. დიდი დახმარება გაგვიწიეს განათლების სამინისტროს პროექტში – „აქტიური მოქალაქე ‘’– ჩართულმა სამოქალაქო კლუბის წევრებმა, მადლობას ვუხდით სკოლის დირექციას ჩვენი პროექტის ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ირმა სალამიძე, სურამის I საჯარო სკოლის პედაგოგი

სტუმრად - მერიაში

სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის დაბა სურამის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები და სკოლის დირექტორი დალი ბროლიძე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას სტუმრობდნენ.

სტუმრები მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა ზურაბ ჩხიტუნიძემ მიიღო და ის საერთაშორისო თუ ადგილობრივი მექანიზმები გააცნო, რაც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას.

მათივე ცნობით, შეხვედრაზე იმსჯელეს CEDAW კონვენციის, გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლათა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონების თაობაზე.

ამასთან, მერის მოადგილემ მოსწავლეებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებული პირების შესახებ გენდერული სტატისტიკაც წარუდგინა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს, ამ მიმართულებით სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო რეკომენდაციები გაითვალისწინოს.

მოსწავლეები მერიასა და საკრებულოში მიმდინარე სამუშაო პროცესსაც გაეცნენ.

– რაგბი –

მურმან აბრამაშვილი პროფესიონალებში ითამაშებს

კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია რაგბის გულშემატკივართათვის, 18 წლის ხაშურელი მორაგბე, მურმან აბრამაშვილი, ქალაქ ლიონის, Saint-Priest Rugby -ის სპორტულ კლუბის წევრი გახდა.

მურმან აბრამაშვილი 1998 წლის 7 ივნისს დაიბადა ქ.ხაშურში. 2013-2014 წლებში იგი ხაშურის მუნიციპალიტეტის სარაგბო გუნდ „ლეგიონის“ ღირსებას იცავდა, წარმატებული ასპარეზობის შემდეგ, 2014-2016 წლებში, მან ასპარეზობა გაგრძო საფრანგეთის სამოყვარულო ლიგის გუნდ EMS BRON XV-ში.

მურმან აბრამაშვილი ხაშურის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლების, დავით სტეფანოვის და არსენ გიორგაძის აღზრდილია.

წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ მურმანს!

ევროპის სკოლათა მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის პროგრამაში ხაშურელი პედაგოგიც მონაწილეობს

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მიმდინარეობს ევროპის სკოლათა მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა eTwinning-ის თემატური საკონტაქტო სემინარი, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული პროექტების განმახორციელებელი მასწავლებელი და წარმომადგენელი. მათ შორისაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროგრამა eTwinningPlus-ის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული სსიპ ხაშურის 1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნანა დაბრუნდაშვილი. საკონტაქტო სემინარის მიზანია მასწავლებელთა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ახალი იდეებისა და გეგმების გაცნობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ახალი პროექტების დაგეგმვა, აღნიშნულ პროექტებზე მუშაობა და მათი განხორციელება მოხდება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საკლასო გარემოში.

ქალბატონი ნანასთვის ეს პირველი ვიზიტი არაა საზღვარგარეთ. მას, სხვადასხვა პროექტებში, წინა წლებშიც მიუღია მონაწილეობა და მიღებული ცოდნა სრულიად გადმოუტანია თავისი აღსაზრდელებისთვის. ვფიქრობთ, ამჯერადაც ასე იქნება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.